ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3797683

ნომერი: AR1572481

თარიღი : 24.01.2018

გაცემის თარიღი : 31.01.2018

გაცნობის თარიღი : 02.02.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი , "ავშნიანი" ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზ მოზაიძე პ/ნ 01023007612
- თბილისი ორთაჭალის II შეს. N 12

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1572481 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.11.17.006.725) გზის მოწყობის მიზნით მომიჯნავე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.11.17.006.009) დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
2016 წლის 27 მაისს ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ " ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა ,,ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ" 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილება.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20–105 დადგენილებით დამტკიცდა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს. თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.11.17.006.725), დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის მიხედვით, ვრცელდება ზოგადი საცხოვრებელი ზონა, რომლისთვისაც არ არის დადგენილი სამშენებლოდ განვითარების კონკრეტული პარამეტრები. აქედან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის სამშენებლოდ განვითარება უნდა მოხდეს ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ " ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით მუხლი 8–ის (განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების პრინციპები და შემადგენლობა) მეოთხე პუნქტის მოთხოვნათა დაცვით.
მიწის ნაკვეთისთვის განაშენიანების რეგულირების პარამეტრების დადგენა ხდება საკადასტრო ერთეულის საზოგადოებრივი სივრცის მხრიდან. ხოლო, თქვენს დაინტერესებაში არსებული საკადასტრო ერთეული #01.11.17.006.725) საზოგადოებრივი სივრცის მხრიდან, ვერცერთი საცხოვრებელი ზონისთვის ვერ აკმაყოფილებს ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ " ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით სამშენებლო მიწის ნაკვეთისთვის დადგენილ მინიმალურ პარამეტრებს (იხ.დანართი). სერვიტუტი კი მიწის ნაკვეთს ვერ ჩაეთვლება საზოგადოებრივ სივრცედ.
ხოლო, იმისათვის რომ არქიტექტურის სამსახურმა იმსჯელოს მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.11.17.006.009) სერვიტუტით დატვირთვასთან დაკავშირებით, საჭიროა, წარმოადგინოთ მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა და განაცხადი ატვირთოთ არქიტექტურის სამსახურის ვებ.გვერდზე, http://tas.ge/–ზე, შესაბამის ნომენკლატურაში: „მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება" ,,მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება (გარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიწის ნაკვეთის საზღვრებისა)".

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.